ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის „დიდი არდადეგები“ საქართველოს სპორტის კომიტეტმა მინიფეხბურთში საინტერესო ტურნირით შეავსო.

# მინიფეხბურთის „გორდა“

და აი, ფეხბურთიც გვეწვია, მართალია დარბაზში, მაგრამ მაინც...

ისე კი, წინდაწინ რომ ვთქვათ, ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში გამართული მინიფეხბურთის ტურნირი რომ გარეთ, მინდვრებზე ჩატარებულიყო, დიდი სხვაობა მაინცდამაინც არ იქნებოდა...

დარწმუნებული ვარ, სპორტის სასახლეში ასეთი სიცივე რომ არ ყოფილიყო, გულშემატკივარი ნამდვილად მეტი იქნებოდა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ ტურნირის დაწყების წინ პრესკონფერენციაზე სპორტის სასახლის დირექტორმა ბატონმა თენგიზ ლომიძემ წინასწარ ბოდიში მოუხადა დამსწრეთ და ამცნო ჯერ არასასიამოვნო ამბავი (გათბობა რომ არ იქნებოდა), მერე კი ყველა მონაწილე გუნდს შეპირდა გასახდელში ცხელ წყალს... ასეა თუ ისე, სიცივეს სპორტის სასახლეში ყველამ გაუძლო და ტურნირიც საკმაოდ მაღალ დონეზე (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ჩატარდა.

პირველ ყოვლისა, მადლობას იმსახურებს მთავარი ორგანიზატორი — საქართველოს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა, რომელმაც სოლიდური საპრიზო ფონდით დიდი სტიმული მისცა მოასპარეზე გუნდებს. ტურნირს მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივაც, რომ ეროვნულ ჩემპიონატში „დიდი დასვენება“ (I-II წრეს შორის) ბევრი გუნდისთვის თავსატეხი აღმოჩნდა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, გუნდებს არა აქვთ წვრთნის და სპარინგ-მატჩების ჩატარების საშუალება და ამ თვალსაზრისით ტუ-

იხ. მე-2 გვ.

ოსტატთა გუნდების — „გორდასა“ და „კახეთის“ ფინალური ასპარეზობის მომენტი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# ლელო

10 თებერვალი, ოთხშაბათი, 1993 წ.
№ 9 (10 797) ● ფასი 3 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კანონპროექტების შემუშავებას — საჯაროობა

# საქართველოს პარლამენტის კომისიას

ტურიზმზე კანონპროექტის შემუშავება აუცილებელია, მაგრამ ამთავითვე დავფიქრდეთ: საქართველოში ჯერჯერობით არ გვაქვს განმარტება თუ რა არის ტურიზმი, ვინ არის ტურისტი, რა არის ტურისტული პროდუქცია, რით განსხვავდება ტურიზმი და ექსკურსია ერთმანეთისგან და ა. შ. თურქეთში რომ ჯგუფები მიდიან, ეს არც ტურიზმია და არც ექსკურსია, ესაა წმინდა წყლის კომერცია, ჩვენ კი, ღირსების შემლახავ ამ მოგზაურობას, ტურიზმად ვასაღებთ. ცხადია, არის საერთაშორისო მცნება ტურიზმისა, მაგრამ სად დღევანდელი ჩვენი საქმიანობა ამ სფეროში და სად ის მცნება, ასე ნებით და ხელაღებით ნუ გავაუფასურებთ იმ დიდებულ საქმეს, რასაც ტურიზმი ჰქვია, ჩვენეული ტურიზმით მსოფლიოში ალბათ სასაცილოდ გამოვიყურებით.

კიდევ ერთი: ჩვენში მომრავლდა ფასიანი სასწავლებლები, სადაც ტურიზმის სპეციალისტებს ამზადებენ. საინტერესოა, რას ეუბნებიან ლექტორები მსმენელებს, როგორ განუმარტავენ ტურიზმს და საერთოდ ტურისტული სფეროს შინაარსს. კომუნიზმის პროპაგანდასავით ხომ არ გამოდის, როცა სიტყვა სხვა იყო და საქმე სხვა.

უპირველესად, აი, ყველაფერი ეს უნდა გავითვალისწინოთ ტურიზმზე კანონპროექტების შემუშავებისას (ავთანდილ სარალიძე, რუსთავი).

შეისწავლეთ საგაზეთო საქმე

„ლელოს“ რედაქციაში იხსნება გაზეთის დამკაბადონებისა და ტექნიკური ორგანიზაციის ფასიანი კურსები. მსურველებს ვიწვევთ რედაქციაში. კოსტავას, 14. ტელ: 99-56-47.

# პირველი ქართველი ბუნდესლიგაში

**კახა ცხადაძე** — დაიბადა 1968 წლის 7 სექტემბერს. ფეხბურთის თამაში დაიწყო რუსთავში მწვრთნელებთან — მურმან გოგოლაძესთან და თამაზ დოდაშვილთან. 1985 წლიდან გამოდიოდა რუსთავის „მეტალურგში“, 1987 წლის დეკემბრიდან — თბილისის „დინამოში“, სადაც 1991 წლის გაზაფხულამდე დაჰყო; 1991 წელს შვეციის „გიფ სუნდსვალშია“, 1992 წლის იანვრიდან ივნისამდე — მოსკოვის „სპარტაკში“, იმავე წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით — მოსკოვის „დინამოში“. 1993 წლის იანვარში ხელი მოაწერა სამწლიან კონტრაქტს გერმანიის „აინტრახტთან“ (მაინის ფრანკფურტი). იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, გამოდიოდა ხნგ-ს ნაკრებში (1992 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე), ამჟამად — საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი.

**სურათზე:** თავისუფალ დროს კახა ცხადაძე ფრანკფურტს ათვალიერებს. „აქამდე მხოლოდ გავლით ვყოფილვარ ამ ქალაქში“ — ამბობს კახა, ასე რომ, ძველი ოპერის შენობა მას ჯერ არ დაუთვალიერებია.

ფოტო გერმანული გაზეთიდან „შპორტ ბილდ“.

იხ. მე-3 გვ.

Seite 14
Ihre tägliche
Bo
is
RT
rt
DEM WAHREN SCHÖNEN GUTEN

# საქართველო—აზერბაიჯანის ხელშეკრულებიდან:

### მუხლი 15

მაღალი ხელმომწერი მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას და გამოცდილების გაზიარებას მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, მედიცინის, ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ტურიზმისა და სპორტის დარგებში...

### მუხლი 17

მაღალი ხელმომწერი მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე მხარის მოქალაქეების კონტაქტებს და თანამშრომლობას საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ეკლესიებს, მეჩეთებს და რელიგიურ გაერთიანებებს, ფონდებს, სპორტულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

ეროვნული თავდაცვის ფონდში

# ლუკმასაც მოვიკლებთ...

**თბილისის** განათლების სამმართველოს მძლეოსნობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის დირექტორმა რევაზ გოგეშვილმა რედაქციას აცნობა, რომ ეროვნული თავდაცვის ფონდში ამ სკოლის სპორტსმენებმა და მწვრთნელ-მასწავლებლებმა ერთი სასწავლო-საწვრთნელო შეკრების თანხა 39.480 მანეთი შეიტანეს.

# პოლგარი—სპასკი

**მსოფლიო** ექსჩემპიონმა ბორის სპასკიმ, ბუდაპეშტში მიმდინარე მატჩში უნგრელ გოგონასთან, მესამე ტურში გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ წონასწორობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა — მეოთხე ტურში გათამაშდა ესპანური პარტია, მაგრამ თეთრებით მოთამაშე იუდითმა მერე სხვა გაგრძელება ირჩია და 65-ე სვლაზე შავების მეფე თეთრების დედოფალმა მეშვიდე ვერტიკალის მეშვიდე უჯრაზე უიმედოდ მიიმწყვდია. ანგარიში გახდა 2:1 პოლგარის სასარგებლოდ. კვირას ამ მატჩის მეხუთე პარტია 34-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. მეექვსე პარტია სამშაბათს, 9 თებერვალს უნდა გათამაშებულიყო.

# ბარსელონამ, პრაო...

**სად** ჩატარდება ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის გარი კასპაროვისა და ნაიჯელ შორტის მატჩი? ახლა, როცა ბარსელონამ, რომელსაც მხარს უჭერდა ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი, ფინანსური სიძნელეების გამო მოხსნა თავისი კანდიდატურა, პრეტენდენტებად რჩებიან ლონდონი, ბერლინი, ზაგრები, ჯაკარტა, ბუდაპეშტი, ათენი, სოფია და ლიმასოლი (კვიპროსი). განსაკუთრებით აქტიურობს ლონდონი (შორტი ხომ ინგლისელია) და მეტოქეებს საკმაო საპრიზო ფონდის შექმნასაც პირდება, მაგრამ ფულის გაღებაზე უარს არც სხვები ამბობენ. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ლიმასოლს, ათენს, ბუდაპეშტს ან სოფიას აირჩევენ, იუგოსლაველი მილიარდერი ეზდიმირ ვასილევიჩი 5 მილიონს იმეტებს. მატჩის მასპინძელი ქალაქის საკითხი, ფიდესთან შეთანხმებით, ორშაბათს, 8 თებერვალს უნდა გადაწყვეტილიყო.

ქირავდება

54 კვ.მ. ფართობი ქალაქის ცენტრში უცხოეთის ჟურნალისტებისთვის ვალუტაზე. დარეკეთ: 99-81-71; 99-56-47.

# ტექნიკური შედეგები

**საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. II ტური. თბილისი. ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.**

**6 თებერვალი.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — „მართვე“ (თბილისი) 92:50, „ფალავანი“ (თბილისი) — გორი 73:59, „მეობა“ (ქუთაისი) — „ტანდემი“ (თბილისი) 62:55.

**7 თებერვალი,** „მართვე“ — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 21:109, გორი — თსუ 48:103, „მეობა“ — „ფალავანი“ 42:41.

**8 თებერვალი.** „ტანდემი“ — „მართვე“ 57:89, „ფალავანი“ — სტუ 58:89, „მეობა“ — გორი 66:60.

◆ ◆ ◆

# პირველსავე რაუნდში

6 თებერვალს ნიუ-იორკის მედისონ სკვერ გარდენში გაიმართა მატჩი მსოფლიო პირველობაზე მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა — რიდიკ ბოუსა და მაიკლ დოუქსს შორის. ამ შეხვედრას უნდა გამოევლინა ჩემპიონი მოკრივეთა მსოფლიო ასოციაციის (ვბა) და კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) ვერსიებით.

სხვათა შორის, ბოუ ჩემპიონის ტიტულს მესამე ვერსიითაც (ვბს) ფლობდა, მაგრამ უარი თქვა ინგლისელ ლენოქს ლუისთან შეხვედრაზე და ამ ორგანიზაციამ ჩემპიონობა ჩამოართვა.

მედისონ სკვერ გარდენის მატჩი ბოუმ საკმაოდ ადვილად მოიგო —34 წლის დოუქსს პირველსავე რაუნდში დაამ

საქართველო, უპირველეს ყოვლისა!

# „შევარდენი მეხთან ომობს..."

**სრულიად საქართველოს პატრიოტული საზოგადოება „ქართველ შევარდენთა ლეგიონი" 1989 წელს შეიქმნა ელგუჯა წიკლაურის თაოსნობით. შემდეგ მის ბაზაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის („ეროვნული გვარდია") ცალკეული სადესანტო მოიერიშეთა ბატალიონი — „ქართველ შევარდენთა ლეგიონი" შეიქმნა, მებრძოლი რაზმები კი წელს ოფიციალურად გვარდიის შემადგენლობაში გაფორმდა. ბატალიონის მეთაური და საზოგადოების სარდალია გვარდიის პოლკოვნიკი ელგუჯა წიკლაური, რომელსაც კარგად იცნობს ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა.**

**ახლახან ელგუჯა წიკლაური თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთიდან. იგი „ლელოს" რედაქციაში მოვიწვიეთ.**

**● რა იყო საზოგადოების შექმნის თავდაპირველი მიზანი?**

— მე იმთავითვე აქტიურად ჩავები ეროვნულ მოძრაობაში. 9 აპრილის შემდეგ, როგორც ამ ტრაგედიის მონაწილემ, თავს ვკითხე, როგორ მოხდა, რომ 300-400-მა რუსმა ჯარისკაცმა 10-12 ათასი მშვიდობიანი მომიტინგე უმოწყალოდ დაარბია და დაგვიხოცა ხალხი? ცხადია, ისინი კარგად იყვნენ გაწვრთნილნი, გვაჯობეს ორგანიზებულობით, დისციპლინით, ჩვენ კი ბრბო ვიყავით. მანამდე ვმუშაობდი საზოგადოების წესდებაზე, ვოცნებობდი საქართველოში შექმნილიყო ხელჩართული ბრძოლის ასოციაცია (მაშინ აკრძალული იყო კარატეც კი).

ჩვენს წინაპრებს იარაღის გარდა ჰქონდათ თავდაცვისა და ბრძოლის სხვა საშუალებებიც, რაც ცეკვაში და ეროვნულ თამაშებში შემორჩა. როცა სისხლი დაიღვარა თბილისში 9 აპრილს, წესდება გადავამუშავე და ხელთ გვქონდა სამხედრო ტიპის პატრიოტულ-სპორტული საზოგადოების დოკუმენტი. იგი თავისთავად მოიცავდა სამხედრო დისციპლინას, აგრეთვე, სამხედრო-საველე მომზადებას.

**● თანამზრახველები გაგიჩნდათ?**

— ძალიან ბევრი, დავიწყეთ ინტენსიური წვრთნა, კვირაში სამი დღე საველე პირობებში ვემზადებოდით, 30 კმ-ს ზურგჩანთებით გავდიოდით ფეხით, სადაც ამ მანძილს დავასრულებდით, იქ ვათენებდით. საველე პირობებში მზადების სპეციალური პროგრამის ათვისების შემდეგ (თეორიული და პრაქტიკული მომზადება, განსაკუთრებით ხელჩართული ბრძოლისა) კადრი მზადდებოდა პარტიზანული რაზმის ან სადესანტო-სადივერსიო ჯგუფის მეთაურის დონეზე.

**● კონკრეტულად თუ გვეტყვით, რას მოიცავდა საბრძოლო-ფიზიკური მომზადება?**

— ყოველდღე შინ თუ ბუნებრივ პირობებში ეწყობოდა ხელჩართული ბრძოლები, ვსწავლიდით სანგრების გათხრას, სიმაგრეების აგებას, შიშის, ტკივილის დაძლევას, რთულ პირობებში გაძლების ხელოვნებას, თქვენ წარმოიდგინეთ, ბუნებრივ პირობებში წყლისა და საკვების მოპოვების ცოდნაც შევიძინეთ, აღარაფერს ვამბობთ თავდასხმის, თავდაცვის, „ხაფანგების" დაგების საიდუმლოებების შესწავლაზე. თუმცა იარაღი ცოტა გვქონდა, ვმეცადინეობდით სხვადასხვა რთული სიტუაციიდან სროლაში. მოკლედ, მაქსიმალურად ვცდილობდით აღგვეზარდა მაღალი საბრძოლო პოტენციის მებრძოლები.

**● სად მიიღეთ პირველი საბრძოლო ნათლობა, როგორ გამოგადგათ წრთობა?**

— სამაჩაბლოში. დავრწმუნდით, რომ კიდევ ბევრი რამ გვქონდა შესასწავლი და ჩვენც ვსწავლობდით და ვსწავლობთ. როკის მისადგომებამდე ვართ მისულები, უღელტეხილებზე გადავსულვართ, ეს თვითმიზანი არ იყო, საქმე მოითხოვდა. მერე იყო აფხაზეთი. ოჩამჩირეში ჩასვლისთანავე ძნელ ბრძოლაში მოვხვდით — ოთხი მხრიდან შეუტია მტერმა ქალაქს. დესანტი ჩვენ გავანადგურეთ. ეს ცნობილი ამბავია, „მხედრიონის" ერთი ოცეული იყო ჩვენთან ერთად, 150 მებრძოლი ვიყავით. მეორედ, ეს იყო 3 დეკემბერს, ბრძოლაში სოფელ ცხენისწყალში ჩავებით. დავალება მივიღეთ, სოფლიდან გაგვედევნა მოწინააღმდეგის გარნიზონი. დღის ბოლო იყო, ბნელდებოდა, ოპერაციის გადადება არ შეიძლებოდა, მაშველის წამოწევით დაგვაიმედეს. აღმოჩნდა, რომ ჩვენ, შევარდნელები — 70 კაცი 2 ტანკით, შევებრძოლეთ ასევე ტანკით, ერთი საბრძოლო მანქანით და ორი თვითმფრინავით (გამანადგურებელი და ბომბდამშენი) შეიარაღებულ მრავალრიცხოვან მტერს. აფხაზთა მონაცემებით იმ დღეს მეტოქემ დაკარგა 72 მებრძოლი. ალბათ 3-ჯერ მეტი დაჭრილი იქნებოდა, ჩვენ ერთი გამოგვაკლდა — ბათუმელი შალვა ჯავაშვილი. არ გვყოლია არც ერთი დაჭრილი. რომ არა ჩვენი საბრძოლო და ფიზიკური მომზადება, ნიჭიერება და სულით ერთობა, ყველას ამოგვხოცავდნენ. ღვთის მადლით, დავალება შევასრულეთ. სიბნელემ გაგვყარა, მერე უკან დავიხიეთ, ჩვენი ამოცანა იყო არა სოფლის დაკავება, არამედ საბრძოლო მანევრი, რის შემდეგ, რაკი ყურადღება მტერმა აქეთ გადმოიტანა, ერთ ქართულ შენაერთს იმ საღამოს თავისუფლად მოქმედების საშუალებაც მიეცა და მეტად მნიშვნელოვანი ოპერაცია განახორციელა სხვა სოფელში. სარდლობამ მთხოვა გმირები გამოგვეყო, ასეთ ბრძოლაში სამოცდაათივე გმირი იყო და ვერც ერთი ვერ გამოვყავი.

**● ალბათ, ამჟამადაც განაგრძობთ მზადებას, რაიმე ხომ არ გიშლით ხელს?**

— ადრე გვქონდა დისლოცირების ადგილი სპორტული ბაზებით. ახლა აღარ გვაქვს. ჩვენ 14 წლის ასაკიდან ვამზადებთ ახალგაზრდებს. ეს საზოგადოების დებულებაში გვიწერია. ჩვენთან მარტო მეომრებად არ იზრდებიან, სულიერი კლიმატია ისეთი, რომ ნამდვილი ვაჟკაცობის სკოლაა შექმნილი. დღეს ყველა მწვრთნელი ფულს ითხოვს, ჩვენ უფასოდ ვავარჯიშებთ. სპორტული ბაზა რომ გადმოგვცენ, მეტს მივიზიდავთ, ამაზე კარგი რა იქნება! 4 წლის მანძილზე ჩვენთან არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ვინმეს ანგარების მიზნით დანაშაული ჩაედინოს. ეს მიგვაჩნია „ვაჟკაცობის სკოლის" დამსახურებად.

ისე, მატერიალური დახმარება ძალიან მწირი. 1500 კარგად აღზრდილი და გაწვრთნილი მეომარი მივეცით გვარდიას, ვფიქრობთ, ეს ცოტას არ ნიშნავს.

საზოგადოებას დღეს ოფისის შენობაც არა აქვს, აღარაფერს ვამბობ სპორტულ ბაზაზე, გვიფუჭდება სპორტული ინვენტარი, ტრენაჟორები. ამ საქმეში დროულად გვინდა მხარდაჭერა. ახალი ადგილი გამოყოფილია.

**● როცა არ ომობთ, რას საქმიანობთ?**

— თუ ომში არ ვართ, ვშრომობთ, შარშან 9 თვე ვიყავით მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში, ვაშენებთ ახალ ეკლესიას კოჯორში, ყველაფერს ჩვენით ვაკეთებთ, ეს ის ადგილია, სადაც ადრე დემოკრატიული საქართველოს პირველი დამცველები — ჩვენი იუნკრები ამოხოცეს. ადგილი აკურთხა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ.

**● რა არის თქვენი და თქვენი მებრძოლების მრწამსი?**

— ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გვაქვს არსებობის უფლება. ჩვენი პრინციპი მკაფიოა — ერს არ ვყოფთ არანაირი ნიშნით, ყველა ერთნი ვართ და ერთი საქმის სამსახურში ვდგავართ. ამიტომაა, რომ ჩვენთან სულ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და შეხედულებების წარმომადგენლები არიან, „საქართველო, უპირველეს ყოვლისა!" ამით იწყება და მთავრდება მთელი ჩვენი პოლიტიკა.

**ესაუბრა თ. თომაშვილი.**

## ლიდერებში სივიწროვეა

**უკან** დარჩა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ოთხი ტური. კიდევ 5 საასპარეზო [illegible] და 34 მონაწილიდან შეირჩევიან ისინი, რომლებიც თებერვლის დამლევიდან თბილისის ჭადრაკის სასახლეშივე ჩაებმებიან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ზონალურ ტურნირში. საუკეთესო სამეულში მოხვედრის [illegible] აქვს სულ ცოტა 8 მონაწილეს, გუშინ, მე-5 ტურში, ერთმანეთს ხვდებოდნენ დაწინაურებულნი — გორელი ციალა ქასოშვილი და თბილისელი ნინო ხურციძე, რომელთაც 3,5-3,5 ქულა ჰქონდათ. ქასოშვილმა მანამდე დაამარცხა ეკა კემულარია, ეკა ფაროვა, მარინე ლებანიძე და დაზავდა ქეთევან მელაშვილს. ხურციძემ კი მეორე ტურში მაია ლომინეიშვილთან „დათმო" ნახევარი ქულა, მაია გრიგალაშვილს, ინა აფხაიძესა და თეა ლანჩავას კი ქულები „წაართვა". ლიდერებს 3-3 ქულით კვალში მისდევენ თბილისელები: ქეთევან მელაშვილი, ინგა ხურცილავა, მაია ლომინეიშვილი, მირანდა ხორავა, ბათუმელი ანა დარჩია და ქუთაისელი თალა მესხი.

◆

## მსურველი იმდენი აღმოჩნდა...

**ჭადრაკის** მოყვარულებმა იციან, ამ წელს მსოფლიო ჩემპიონებს — გარი კასპაროვს და სიე ჯუნს წოდებების დაცვა მოუწევთ, ისიც იციან, რომ კასპაროვს ინგლისელი ნაიჯელ შორტი ეთამაშება, სიე ჯუნის მეტოქეს კი დაასახელებს ნანა იოსელიანისა და ჟუჟა პოლგარის მატჩი. მაგრამ არავინ იცის, ვინ იქნებიან ახალი ან ძველი ჩემპიონების მეტოქეები მომდევნო ციკლში, 1995 წელს. მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოპოვების მსურველნი კი იმდენნი აღმოჩნდნენ, რომ პრეტენდენტებისთვის ფიდეს კლასიფიკაციით რამდენიმე ზონა შეიქმნა. ერთ ასეთ, XII ზონალურ ტურნირს ჯაკარტა მასპინძლობს. შეჯიბრებამ აქ თავი მოუყარა ინდონეზიის, ავსტრალიის, ვიეტნამის, ფილიპინებისა და სხვა ქვეყნების ოსტატებს. ქალთა შეჯიბრებაში 10 ტურის მერე 6,5-6,5 ქულით წინ იყვნენ ინდონეზიელი ლინდრი ვიავანტი და ავსტრალიელი ირინა ბერეზინა-ფელდმანი. ვაჟებში 8 ტური გათამაშდა. დაწინაურდნენ ავსტრალიელები — იან როჯერსი (6,5) და დერილ იოჰანსენი (6 ქულა).

## მინიფეხბურთის „გორდა"

(დასასრული)

რნირის მონაწილე რვავე გუნდისთვის ეს შეხვედრები, გარკვეულწილად, ახალი საფეხბურთო სეზონისათვის მზადების მნიშვნელოვან ეტაპად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა კი უშუალოდ ტურნირზე. როგორც გულშემატკივრებმა იციან, უფროსებთან ერთად იასპარეზეს ნორჩებმაც (1980 წელს დაბადებულნი) — სულ ექვსმა გუნდმა. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის გუნდებმა — „ვაკემ" და „მაისმა". ფინალი უაღრესად დრამატულად წარიმართა, ორივე გუნდი თანაბრად იმსახურებდა გამარჯვებას, ბოლოს კი ყველაფერი გადაწყვიტა „ვაკის" კაპიტნის, ტურნირის საუკეთესო მცველის დავით დოლიძის ეფექტურმა დარტყმამ საკმაოდ შორი მანძილიდან — 4:2. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მაისის" და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა ლაშა ჯაკობიამ რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ფინალის შემდეგ „ვაკის" ფეხბურთელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ხოლო „მაისის" მოთამაშეები არ ცდილობდნენ ცრემლების დაფარვას, განსაკუთრებით კი მათი მეექვსე ნომერი, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი დეკანოსიძე. თავდაპირველად ნორჩებისთვისაც გათვალისწინებული იყო ფულადი პრიზები, მაგრამ ორგანიზატორებმა ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს და ამ ღირებულების სპორტული ჩასაცმელები გადასცეს ლაურეატებს.

ოსტატთა ტურნირმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. შეჯიბრებაში მონაწილე რვავე გუნდი კენჭისყრით ორ ჯგუფში განაწილდა და თავითვე ნათელი გახდა, რომ პირველი ჯგუფი („გორდა", „დინამო", „შევარდენი-1906", „დილა") სიძლიერით აღემატებოდა მეორე ჯგუფს („კახეთი", „ალაზანი", „ცხუმი", „მაღაროელი").

რუსთავის „გორდა"

ჯგუფშიც და საერთოდ ტურნირშიც შესანიშნავად ითამაშა რუსთავის „გორდამ". პირველ მატჩში მან „შევარდენი-1906" დაამარცხა — 4:2 (გოლები: ვარლამ კილასონია-2, შალვა ხუჯაძე, ხვიჩა ქასრაშვილი; კოტე მელქაძე, მამუკა მაჭავარიანი), შემდეგ არანაირი შანსი არ დაუტოვა გორის „დილას" ახალგაზრდულ გუნდს — 7:0 (გია კილასონია-2, ვარლამ კილასონია-2, შალვა ხუჯაძე, გიორგი ლუდუშაური, ვასილ მიქაშავიძე). მესამე მატჩი რუსთავის „გორდასა" და თბილისის „დინამოს" შორის საუკეთესო იყო ამ ტურნირზე. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 3:3 (ვარლამ კილასონია, გიორგი ლუდუშაური, გია კილასონია; მიხეილ ყაველაშვილი, შოთა არველაძე, გოჩა ჯამარაული). პენალტების სერიაში რუსთაველებმა იმარჯვეს და ფინალის საგზური მოიპოვეს. მეორე ჯგუფიდან, ბევრისთვის მოულოდნელად, ფინალში თელავის „კახეთი" გავიდა, რომელმაც სამივე მატჩი აღმავლობით ჩაატარა, განსაკუთრებით კი პრინციპული შეხვედრა გურჯაანის „ალაზანთან" — 4:3 (ირაკლი კალუგა-2, დავით სოლოღაშვილი, დავით მაღრაძე; ვასილ სეფაშვილი, ოთარ კორღალიძე, ბესიკ ფრიდონაშვილი). ცალკე აღნიშვნის ღირსია თელაველთა კიდევ ერთი ფეხბურთელი, 17 წლის ავთო ხორხელი, რომელმაც შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. ლიდერი კი „კახეთის" შემადგენლობაში უდავოდ დავით სოლოღაშვილი იყო, რომელსაც ტურნირის დამთავრების შემდეგ სრულიად დამსახურებულად ერგო ყველაზე მეტი ინდივიდუალური პრიზი.

ფინალი კი, როგორც ხშირად ხდება, სანახაობრივად ლამაზი არ გამოდგა. „კახეთმა" ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია გამოცდილ „გორდას" და აშკარა საგოლე მომენტებიც უფრო მეტი ჰქონდა, მაგრამ იმ დღესაც შესანიშნავად თამაშობდა „გორდას" მეკარე მამუკა ქორიძე, რომელიც სამართლიანად დაასახელეს საუკეთესო მეკარედ. ბოლოსდაბოლოს, „გორდამ" შეძლო დამატებითი დროის მიწურულს ორი უპასუხო ბურთის გატანა (გიორგი ლუდუშაური, ვარლამ კილასონია) და 400 000 მანეთიც დაისაკუთრა, „კახეთმა" 250 000 მანეთი მიიღო, მესამე ადგილზე გასულმა თბილისის „დინამომ" — 150 000 მანეთი. ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ ამ პრიზების გარდა ტურნირის ორგანიზატორებმა სხვადასხვა ინდივიდუალური პრიზებიც გადასცეს ლაურეატებს. აქაც საკმაოდ სოლიდური თანხები „ფიგურირებდა" — მამუკა ქორიძეს (საუკეთესო მეკარე), დავით სოლოღაშვილს (საუკეთესო მცველი), შოთა არველაძეს (საუკეთესო თავდამსხმელი), მიხეილ ჯიშკარიანს (საუკეთესო ბომბარდირი) და ვარლამ კილასონიას (საუკეთესო ფეხბურთელი) 60 ათასი მანეთი გადაეცა თითოეულს. რუსთაველთაგან თავი არავის დაუზოგავს, მაგრამ მაინც ცალკე აღნიშვნის ღირსნი არიან ძმები კილასონიები და ნუგზარ ლობჟანიძე, რომლებმაც მთელი ტურნირი მართლაც დიდებულად ჩაატარეს.

**თემურ ხვანიშვილი**

თბილისის „ვაკე"

### ტურნირის სპონსორები

**ავიაკომპანია** „ტრანსაიგეორგია" (დ. ლელაძე), სავაჭრო კომერციული ფირმა „ლილო" (ა. თავართქილაძე) და თბილისის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკა (გ. ბაგრატიონი) — 100-100 ათასი მანეთი, თბილისის სპორტკომიტეტი (ვ. კანკავა) — 50 ათასი; საქართველოს სპორტკომიტეტის ორგანიზაციებიდან — საწარმოო ფირმა „ბურთი" (ჯემალ ჯავახიშვილი, თბილისი), მშენებლობისა და სპორტნაგებობების ექსპლუატაციის სამმართველო (თ. რუხაძე) — 50-50 ათასი; ასოციაცია „დიზაინმშენი" (ვ. მიქაბერიძე) — 25 ათასი და ორი საუკეთესო პრიზი. „ტრესტსაქსპორტმშენის" ფირმა „მერცხალი" (თ. აბუსერიძე) — 20 ათასი; კომერციული ფირმა „გავაზი" (ჯ. კეთილაძე) — 20 ათასი.

**რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, სპონსორებმა თავი გამოიჩინეს. ჩვენ ყოველთვის მივესალმებით ასეთ თაოსნობას, მაგრამ არ შეიძლება გულისტკივილით არ აღვნიშნოთ, რომ „ლელოს" პერიოდულობის თუნდაც სანახევროდ აღსადგენად ქაღალდი რომ შეეძინა, 400 ათასი მანეთი ესაჭიროებოდა, სპონსორი კი არა და არ გამოჩნდა, ამ თანხის ავანსად გამოყოფის თხოვნის წერილი კი გასული წლის დეკემბრიდან დევს საქართველოს სპორტის კომიტეტში.**

**ეს ისე, სხვათა შორის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟუჟა პოლგარი— პრეტენდენტი

### მხოლოდ ვაჟთა შორის

**ვინაიდან** 13 წლის ასაკიდან ჟუჟა ქალების შეჯიბრებებში აღარ გამოდიოდა, ძალიან გაძნელდა მისი შედარება „მშვენიერი სქესის“ სხვა წარმომადგენლებთან. რჩებოდა ერთადერთი საზომი — რეიტინგები. ამ მხრივ უნგრელს დიდი წარმატებები ჰქონდა. 1984 წელს მისი რეიტინგი 2275-დან 2405-მდე გაიზარდა. ამ დროიდან მოყოლებული ჟუჟა არაოფიციალურად მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატ ქალთა რიცხვს მიათვალეს, ჯერჯერობით ისე, ყოველი შემთხვევისთვის...

ვაჟთა ერთი შეჯიბრება მეორეს ცვლიდა. 1984 წელს ყურადღება მიიპყრო 15 წლის გოგოს წარმატებამ ვარნის (ბულგარეთი) ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც I-IV ადგილები გაიყო. მართალია, როგორც ბულგარელები დანაილოვი და სპირიდონოვი, ისე საბჭოთა მოჭადრაკე ჩერნიკოვი არ იყვნენ მაინცდამაინც გამორჩენილი ოსტატები, მაგრამ დიდი გამოცდილება ჰქონდათ. იმავე წელს ჟუჟა მეხუთე იყო ბუდაპეშტში. იგი საერთაშორისო ოსტატი გახდა ვაჟთა შორის, რაც მისი ასაკის გოგოსათვის განსაკუთრებული მიღწევა იყო.

1985 წელი. IV-V ადგილები ჩრენჩანსკე-ტეპლიცეს (ჩეხოსლოვაკია) ტურნირში. მონაწილეობა ნიუ-იორკის დიდ საერთაშორისო ფესტივალში, 1986 წელი ჟუჟასთვის ერთობ დატვირთული გამოდგა: ითამაშა ჰასტინგსის საახალწლო ფესტივალში, კოპენჰაგენში (46 მონაწილეს შორის V-IX ადგილები), უნგრეთის ჩემპიონატში II-III ადგილები გაიყო. ამ წარმატებების შემდეგ, პირველად ჭადრაკის ისტორიაში, იგი, ქალი, მონაწილეობდა ვაჟთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში. იმ პერიოდის სხვა მიღწევებს შორის ყურადღება მიიპყრო გამოსვლამ ბილბაოში (1987 წელს), სადაც V-VI ადგილები გაიყო ანდრეი სოკოლოვთან და სძლია გამოჩენილ იუგოსლაველ დიდოსტატ ლიუბომირ ლიუბოევიჩს, II-III ადგილები გაიყო სტარი-სმოკოვეტში (ჩეხოსლოვაკია, 1987), V-VII ადგილები — სან-ბერნარდინოს 1987 წლის ფესტივალზე (71 მონაწილეს შორის).

ერთი სიტყვით, ჟუჟა ვაჟთა ტურნირების რიგითი მონაწილიდან გადაიქცა ერთ-ერთ პოტენციურ ლიდერად, რომელიც ზოგჯერ გამოჩენილ დიდოსტატებსაც კი უსწრებდა. შესაბამისად იზრდებოდა მისი რეიტინგიც. უფრო კონკრეტული შეფასებისგან ექსპერტები, სანამ იგი უშუალოდ არ შეხვდებოდა ქალებს, მაინც თავს იკავებდნენ.

სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს ერთ გარემოებასაც — ჟუჟა ძალიან კარგად თამაშობდა დაფაზე დაუხედავად, ბრწყინვალედ — ელვისებურ (ხუთწუთიან) პარტიებს. 1985 წელს მან დრეზდენის დიდ საერთაშორისო ტურნირში (ელვისებურ ჭადრაკში), დიდოსტატ ვაჟებს „მუსრი გაავლო“ და I ადგილი დაიკავა. მომდევნო წელს იგი კვლავ ეწვია დრეზდენს და ისევ I ადგილზე გავიდა. ამავე წელს პრაღაში ელვისებურ ტურნირში ითამაშა გაზეთ „რუდე პრავოს“ პრიზზე. აქაც I ადგილი! 1986 წელს ჟუჟა კვლავ პრაღაშია და კვლავ გაიმარჯვა. მისი უპირატესობა ყველამ აღიარა!

მრავალრიცხოვან ტურნირებში მონაწილეობამ და შეუპოვარმა ყოველდღიურმა მუშაობამ ჟუჟა მაღალი კლასის, ფრიად ერუდირებულ ოსტატად ჩამოაყალიბა. იმ წლებში იგი თამაშობდა მკაცრი პოზიციური სტილით. შეუპოვრად, თავდაჯერით, შეითვისა მაღალი ტექნიკა. ასაკის მიუხედავად, ჩინებულად დამუშავებული მრავალფეროვანი სადებიუტო რეპერტუარი ჰქონდა. ამ მხრივ ცნობილ დიდოსტატ ვაჟებსაც არ უდებდა ტოლს.

### ცოტა ქალებისკენაც მოიხედა

**ვაჟთა** ტურნირებში ჟუჟა ორჯერ შეხვდა მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს. ორივე პარტია ყაიმით დამთავრდა. მათი მატჩი იმ წლებში უდავოდ საინტერესო იქნებოდა.

თანდათან დაწინაურდნენ ჟუჟას უმცროსი დებიც. იყო დრო, ისინი მხოლოდ ესწრებოდნენ უფროსი დის ტურნირებს, შემდეგ კი სამივე ერთსადაიმავე ტურნირებში თამაშობდა. რა თქმა უნდა, კარგა ხანს სოფი და იუდითი ბევრად ჩამოუვარდებოდნენ ჟუჟას, მაგრამ ისინი ხომ უმცროსები იყვნენ. 1983 წელს იუდითმა, რომელიც მაშინ შვიდი წლისა და ექვსი თვის იყო, „დრეზდენის მარათონში“ ერთი დღის განმავლობაში 100 (!) ელვისებური პარტია ითამაშა კარგი შედეგით. ერთი სიტყვით, „ექსპერიმენტი“ წარმატებით გრძელდებოდა. ლასლო პოლგარმა შემდეგ განაცხადა, რომ ბავშვები ასეთ შეჯიბრებაში ნაკლებად იღლებიან, ვიდრე მოზრდილები.

გოგოებმა ჭადრაკის მთელ სამყაროში მოიპოვეს პოპულარობა. მათ გამოუჩნდათ სპონსორები გერმანიასა და ჰოლანდიაში, მოეხსნათ ფინანსური პრობლემები, შეეძლოთ რამდენიც უნდოდათ, იმდენი ემოგზაურათ.

ვერ ვიტყვით, რომ იმხანად პოლგარებს უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციასთან მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ლასლო აცხადებდა, რომ ფედერაცია დებისთვის არაფერს აკეთებდა. როცა სოფიმ და იუდითმა საერთაშორისო ასპარეზზე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს, ფედერაციამ სთხოვა დებს, ამიერიდან ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადებზე გამოსულიყვნენ. პოლგარებმა ყოველნაირად აარიდეს თავი ამ ღონისძიებას. ერთხელ ისეთი მიუღებელი პირობა წამოაყენეს, როგორიც ცა-

იხ. მე-4 გვ.

# შეიძლება დარჩეს უპარლამენტოდ და უბინაოდ

ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა 1500 მეტრზე რბენაში, ინგლისელმა სებასტიან კოუმ, რომელმაც კარგა ხანია თავი დაანება სპორტს, გადაწყვიტა ძალები მოსინჯოს პოლიტიკურ სარბიელზე. უფრო ზუსტად, მას განზრახული აქვს კენჭი იყაროს ბრიტანეთის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატაში.

მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ საარჩევნო კანპანიას ინგლისში საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება, რაც ყოფილ სპორტსმენს არ გააჩნია. ამიტომ კოუმ გადაწყვიტა გაყიდოს თავისი ფეშენებელური ვილა თვიქნემში. როგორც იუწყებიან, გამოჩნდნენ მყიდველებიც, რომლებიც მზად არიან 600 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ.

კოუს არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი აქვს, მაგრამ, ეს თუ არ მოხდა, იგი უპარლამენტოდაც დარჩება და უბინაოდაც.

**ეს პუბლიკაცია, რომელიც ეძღვნება კახა ცხადაძეს, დაიბეჭდა 1993 წლის 23 იანვარს გერმანულ გაზეთში „შპორტ ბილდ“.**



# „აინტრახტის“ ახალ ვარსკვლავს თინიკო ენატრება...

— გატეხილი ცხვირი და წარბთან ვარდისფერი იარა „ტორინოს“ ბრაზილიელი თავდამსხმელის ვალტერ კასაგრანდეს „სახსოვარია“ — ამბობს ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერის ახალწვეული, 24 წლის კახა ცხადაძე, რომლის თამაშმაც ევროპის საკლუბო ტურნირებზე მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში ბევრი სელექციონერის ყურადღება მიიპყრო. „— ფრანკფურტში იმიტომ ჩამოვედი, რომ დავამტკიცო — ბუნდესლიგაში თამაში შემიძლია. საერთოდ, მე ყოველთვის მსუბუქი და მოქნილი, მაგრამ ფიზიკურად არცთუ ძლიერი ვიყავი. ისე კი, უამრავი დაბრკოლების გადალახვა დამჭირდა ფეხბურთში საკუთარი „მე“-ს დასამკვიდრებლად. რაც შეეხება ჩემი თავით თამაშის „საიდუმლოს“, ამას ვარჯიშებზე ინტენსიური დატვირთვების წყალობით მივაღწიე“ — ეუბნება კახა ცხადაძე „შპორტ ბილდის“ მიმომხილველს როლანდ პალმერტს.

### ცნობისმოყვარეობა ბუნდესლიგისადმი

„აინტრახტის“ ვიცე-პრეზიდენტის, 70-იანი წლების გერმანიის ფედერაციული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის ბერნდ ჰოლცენბაინის აზრით, კახა ცხადაძე უახლოეს დროში ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი უნდა გახდეს. მისი თამაშით ხომ ესპანეთის და იტალიის საუკეთესო კლუბები არიან დაინტერესებულნი. ჩვენ გვჯერა, დასძენს ჰოლცენბაინი, კახასაც ისეთივე დებიუტი ექნება, როგორიც სერგეი კირიაკოვს „კარლსრუეში“ და ალექსანდრე ბოროდიუკს „შალკე-04“-ში. ფრანკფურტში ჩასვლისას კახა ცხადაძეს „აინტრახტის“ მეორე მწვრთნელმა კრისპელმა შესთავაზა:

„თუ შენ უცხოეთში ცხოვრების პრობლემების გეშინია, არ იჩქარო, გადახედე ვითარებას ფრანკფურტში და ისე აწონ-დაწონე ყველაფერი“. თუმცა, ყველაფერი სასიკეთოდ წარიმართა — იანვრის შუა რიცხვებში „აინტრახტი“ საწვრთნელ შეკრებას კანარის კუნძულებზე გადიოდა და კახამ ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა.

„აინტრახტის“ მორიგი ვარჯიში — მარჯვნიდან მესამე კახა ცხადაძე.

„მე მოსკოვშიც უცხოელი ვიყავი“ — ამბობს ქართველი ფეხბურთელი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაემშვიდობა [illegible] სულ გუნდს (იგულისხმება [illegible] ნაკრები — რედ.). „მომავალში [illegible] მხოლოდ საქართველოსთვის ვითამაშებ, მაგრამ, სამწუხაროდ, [illegible] დასხვა მიზეზების გამო იქ ნამდვილი ეროვნული ნაკრები ჯერჯერობით ჩამოყალიბების პროცესშია.

22 იანვარს, ნაშუადღევს კახამ მოსკოვში დაურეკა თავის მეუღლეს თინიკოს, რომელიც 5 წლის [illegible] და წლინახევრის [illegible] ერთად სულ მალე ჩამოვა ფრანკფურტში. მას ძალიან ენატრება და სჭირდება თავისი ოჯახი. როცა კახა შვეციის „გიფ სუნდსვალში“ თამაშობდა, იგი იქ მეუღლის გარეშე იყო ჩასული. „იქ თავს მაინცდამაინც კარგად არ ვგრძნობდი, თანაც ენა არ ვიცოდი. ისე, მგონია, გერმანული უფრო ადვილია, ვიდრე შვედური“.

სკანდინავიაში ყოფნის შემდეგ კახა მოსკოვის „სპარტაკის“ შემადგენლობაში რუსეთის თასს, „დინამოსთან“ ერთად კი ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. ახლა იგი „აინტრახტშია“ და კლუბთან ერთად ბუნდესლიგის ჩემპიონობისა და თასის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

— „საუცხოო გუნდია, მომწონს მისი თამაშის შემტევი სტილი“ — ამბობს ქართველი ფეხბურთელი კახა ცხადაძე, რომელიც, სპეციალისტების აზრით, ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი უნდა გახდეს.

პუბლიკაცია მოამზადა
**ჯონი ბურეშიძემ.**

# „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი)

კლუბი დაარსდა 1899 წელს. ქვეყნის 1970 წლის ჩემპიონი სამოყვარულო გუნდებს შორის, ორჯერ (1953 და 1959 წლებში) გაიმარჯვა „სამხრეთის ობერლიგაში“ (დაახლოებით — ჩვენი პირველი ლიგა). ქვეყნის 1959 წლის ჩემპიონი, თასს ფლობდა 1974, 1975 და 1981 წლებში, 1980 წელს დაეუფლა უეფას თასს. სისტემატურად მონაწილეობს ევროპულ ტურნირებში.

თამაშობს „ვალდშტადიონზე“, რომელიც 1935 წელს აშენდა. იმასთან დაკავშირებით, რომ აქ გაიმართა მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის მატჩები, სტადიონი გადაკეთდა, თუმცა ადგილების რიცხვმა 70.800-დან 61.146-მდე იკლო.

სხვადასხვა დროს „აინტრახტში“ გამოდიოდნენ ცნობილი ოსტატები პეცეი (ავსტრია), ხორვატი, იუსუფი (ორივე — იუგოსლავია), ბუმ-კუნ ჩა (სამხრეთ კორეა), სმოლიარეკი (პოლონეთი), გფრ-ის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები — გრაბოვსკი, ჰოლცენბაინი, ჰანსი მიულერი, ტილკოვსკი, კიორბელი, ბუხვალდი და სხვები.

აქ მუშაობდნენ ცნობილი გერმანელი მწვრთნელები, მათ შორის ერიხ რიბეკი. მოწვეულ უცხოელ სპეციალისტთაგან აღვნიშნავთ უნგრელ დიულა ლორანტს, „დიდი გუნდის“ ცენტრალურ მცველს. მისი შვილი ლასლოც ერთხანს „აინტრახტში“ გამოდიოდა.

1991-92 წლებში, როცა გაიმართა გაერთიანებული გერმანიის [illegible] ჩემპიონატი 20 გუნდის მონაწილეობით, „აინტრახტი“ მთელი შეჯიბრების მანძილზე ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი იყო, ბოლო, 38-ე ტურის წინ 50 ქულა ჰქონდა, ამდენივე „შტუტგარტსა და დორტმუნდის „ბორუსიას“, ამასთან, ბურთების უკეთესი სხვაობა მაინის ფრანკფურტელებს გარკვეულ უპირატესობას აძლევდა. ბევრს მოაჩნდა კიდეც, რომ „აინტრახტი“ ჩემპიონობას ხელიდან არ გაუშვებდა, ვინაიდან ეთამაშებოდა (მართალია, სტუმრად) როსტოკის „ჰანზას“, გუნდს, რომელმაც ამ მომენტისთვის უკვე დაკარგა პირველ ბუნდესლიგაში დარჩენის უფლება, მაგრამ „აინტრახტის“ იმედებს განხორციელება არ ეწერა, იგი დამარცხდა ანგარიშით 0:1, ორივე მეტოქემ კი გაიმარჯვა. გუნდი მესამე ადგილზე გავიდა (18 მოგება, 14 ფრე, 6 წაგება, ბურთები 76-41).

უეფას თასის 1992-93 წლების გათამაშება „აინტრახტისთვის“ უღბლოდ წარიმართა. პირველ წრეში იგი პოლონეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს ლოძის „ვიძევს“ შეხვდა. პირველ მატჩში მეტოქის მინდორზე გერმანელებს ძალიან გაუჭირდათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში მასპინძლები წინ იყვნენ — 2:0, მაგრამ ვოლფმა და ზანგმა თავდამსხმელმა იებოამ შეძლეს ორი საპასუხო ბურთის გატანა და გერმანელებმაც შვებით ამოისუნთქეს — 2:2, მერე კი მაინის ფრანკფურტში „აინტრახტმა“ პირდაპირ გასაოცარი ანგარიშით გაიმარჯვა — 9:0. მომდევნო წრეში „აინტრახტი“ ფავორიტად ითვლებოდა სტამბოლის „გალათასარაისთან“, მაგრამ მოულოდნელად მარცხი იგემა (შინ — 0:0, სტამბოლში — 0:1).

ეს წაგება თუნდაც იმიტომ იყო მოულოდნელი, რომ „აინტრახტი“ ძლიერად, სტაბილურად თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში, არ ტოვებს ლიდერთა ჯგუფს და თუმცა პრაქტიკულად პირველი ადგილისთვის ბრძოლა ძალზე გაუჭირდება, ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გასვლის რეალურ პრეტენზიას აცხადებს. გუნდის დაცვა ერთ-ერთი უმტკიცესია ბუნდესლიგაში, ახლა კი მას ცხადაძეც დაემატება. იგი მესამე უცხოელია, რომელიც 1992-93 წლების სეზონში დაემატა „აინტრახტს“. პირველი გახლავთ 19 წლის პენქსი ჩეხეთის „დუკლადან“ (ქ. ბანსკა-ბისტრიცა), რომელიც გუნდს ნახევარი მილიონი მარკა დაუჯდა, მეორეა ასევე 19 წლის ოკოჩა ნიგერიის „ენუგუდან“, რომელშიც გერმანელებმა ამდენივე გადაიხადეს. კახა ცხადაძის კონტრაქტის თანხა მილიონნახევარი მარკაა.

კ. ცხადაძე პირველი ქართველია, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში — ბუნდესლიგაში ჩაირიცხა.

**ბიბი თორელი**

# ოლიმპიური ენციკლოპედია

**იტალიის** გამომცემლობა „ედი ჰერმესმა“ დასაბეჭდად მოამზადა „ოლიმპიური თამაშების დიდი ენციკლოპედიის“ ხუთტომეული (ფასი 580 ათასი ლირი). „სპორტ ე მედიჩინას“ ინფორმაციით, ენციკლოპედიაში გაანალიზებულია ყველა ოლიმპიური დისციპლინის წესები, ტექნიკა, ცნობილ ათლეტთა შედეგები, ოლიმპიური თამაშების ისტორია, მონაცემები სპორტულ მედიცინაში, ბიომექანიკაში, გამოჩენილ სპორტსმენთა ბიოგრაფიები, ცალკეული შემთხვევები მათი ცხოვრებიდან და ა. შ.

ენციკლოპედიის პირველი ტომი ეძღვნება მძლეოსნობას, მეორე — სპორტის გუნდურ სახეობებს, მესამე — ტანვარჯიშს, კრივს, ძიუდოს, ჭიდაობებს, ჩოგბურთსა და მაგიდის ჩოგბურთს, თანამედროვე ხუთჭიდს, მეოთხე — წყლის სპორტის სახეობებს, მეხუთე — ოლიმპიური თამაშების ისტორიას.

წიგნში 1200 გვერდია და 3500 ილუსტრაცია. მასალები დაწერილია სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტების, გამოჩენილი პროფესიონალების მიერ.

# „ფორმულა“ იძლევა სარფიან წინადადებას

მას შემდეგ, რაც ნაიჯელ მენსელმა თავი მიანება „ფორმულა-1“-ს და ამერიკაში გადავიდა სასპარეზოდ, ინდიკარის სერია უფრო პოპულარული რბოლა გახდა. ამბობენ, რომ „დიდი ინგლისელის“ გზას დაადგება ბრაზილიელი აირტონ სენაც, აგრეთვე, „ბენეტონის“ ექსპილოტი მარტინ ბრანდლი და რამდენიმე ავტომობილისტი „მაკლარენიდან“. ამ ცოტა ხნის წინ „ჰონდამ“ განაცხადა, რომ თავს ანებებს „ფორმულას“ ინდიკარის სასარგებლოდ.

ამ ცნობამ დიდად გაახარა ამერიკული სერიის პატრონი უილიამ სტოკანი.

გავრცელდა ხმა, რომ „ფორმულა-1“, ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით, მენსელს 1993 წლისათვის 16 მილიონ დოლარიან კონტრაქტს სთავაზობსო. უფრო სწორად, ამ თანხის გადახდას აპირებს „ფერარი“. მენსელმა აღნიშნულ ფაქტს კომენტარი არ გაუკეთა, ოღონდ აღნიშნა, რომ ეს არ არის ერთადერთი წინადადება „ფორმულის“ მხრიდან.

# 21 თებერვალს, სოლტ-ლეიკ-სიტიში

**ვინ** არის საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი აშშ-ის პროფესიულ კალათბურთში? ასე პირდაპირ საკითხი ნბა-ში არასდროს დასმულა, ვინაიდან ასოციაციაში ერიდებიან სუპერვარსკვლავთა ხელოვნურ დაპირისპირებას. ასოციაცია კი არა, ასეთ შედარებას ჟურნალისტებიც გაურბიან. და მაინც, არაპირდაპირი გზით ტარდება ხოლმე ასეთი კონკურსი, როცა „ყველა ვარსკვლავის“ („ოლ სტარზი“) მატჩისთვის „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ ნაკრები გუნდების შემადგენლობას ამხელებენ. ეს ორი გუნდი, ტრადიციულად, კალათბურთის მოყვარულთა გამოკითხვის საფუძველზე დგება და, ამდენად, ვერც ერთი სპორტსმენი ვერ დააბრალებს ხალხს მიკერძოებას, შედეგების გაყალბებას და ა. შ.

ასეთი შესავალი დასჭირდა იმ საყურადღებო ფაქტს, რომ „აღმოსავლეთის“ ნაკრებში ცენტრალურ თავდამსხმელთა შორის პირველ ნომრად გავიდა ახალბედა კალათბურთელი და არა ოლიმპიური ჩემპიონი, პროფესიული კალათბურთის ერთ-ერთი აღიარებული სუპერვარსკვლავი. ერთი სიტყვით, საუბარია „ორლანდო მეჯიკის“ 20 წლის ფორვარდზე შექვილ ონილზე და „ნიუ-იორკ ნიკსის“ მოთამაშე პატრიკ იუინგზე. ონილმა გულშემატკივართა 826 767 ხმა მიიღო, იუინგმა კი 578 368.

რამდენიმე სიტყვა ონილზე. მონაცემებით იგი იდეალურ ცენტრფორვარდად უნდა მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლით 215 სანტიმეტრია და იწონის 140 კილოგრამს, „ორლანდო მეჯიკის“ ცენტრალური ფორვარდი გამოირჩევა სისწრაფით, მოქნილობით და მოძრაობის უნარით. ონილის დიდი დამსახურებაა ის, რომ გუშინდელი აუტსაიდერი „ორლანდო“ დღეს ატლანტის დივიზიონში ლიდერთა უშუალო კონკურენტია და სულ უფრო მეტი შეუპოვრობით ავიწროებს მათ პოზიციებს.

მიმომხილველთა აზრით, შექვილ ონილი ნბა-ს ბოლო წლების მთავარი აღმოჩენაა, რომელიც უსათუოდ დატოვებს კვალს პროფესიულ კალათბურთში. ისინი ასევე დარწმუნებული არიან, რომ ონილი იქნება მთავარი ცენტრალური თავდამსხმელი აშშ-ის ნაკრებში ტორონტოს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე (როგორც ჩანს, პროფესიონალებმა ბარსელონაში ოლიმპიადის შემდეგ ამ ტურნირში მონაწილეობაც გადაწყვიტეს). ტორონტოს გუნდი ალბათ უფრო განახლებულიც იქნება და შესაძლოა უფრო სრულყოფილიც ბარსელონის „დრიმ-თიმთან“ („ოცნების გუნდთან“) შედარებით.

„აღმოსავლეთის“ ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც 21 თებერვალს სოლტ-ლეიკ-სიტიში „ოლ სტარზის“ მატჩში თავის დასავლეთელ კოლეგებს შეხვდება, მოხვდნენ აგრეთვე (ლაპარაკია პირველ ხუთეულზე): აიზია თომასი („დეტროიტ პისტონსი“), სკოტ პიპენი („ჩიკაგო ბულსი“) და ლარი ჯონსონი („შარლოტ ჰორნეტსი“). გუნდის მეხუთე წევრს გამოვყოფთ საგანგებოდ: ეს გახლავთ შეუდარებელი მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო ბულსი“), რომელმაც გულშემატკივართა გამოკითხვაში ხმების აბსოლუტურად მაქსიმალური რაოდენობა — 1.035.824 დააგროვა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გუნდის შემადგენლობაში ორი ოლიმპიური ჩემპიონი გამოდის (ჯორდანი და პიპენი).

რაც შეეხება „დასავლეთის“ გუნდს, აქ პირველ ხუთეულში ოლიმპიური შემადგენლობა მთლიანად შენარჩუნებულია — ყველას ბარსელონის „ოქრო“ აქვს მიღებული. ესენი გახლავან: მცველები — კლაიდ დრექსლერი („პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“) და ჯონ სტოკტონი („იუტა ჯაზი“), თავდამსხმელები — ჩარლზ ბარკლი („ფენიქს სანსი“) და კარლ მელოუნი („იუტა ჯაზი“), ცენტრალური თავდამსხმელი — დევიდ რობინსონი („სან-ანტონიო სპერსი“). ამ ხუთეულში ხმების მაქსიმალური რაოდენობა ბარკლიმ მიიღო — 858.947.

რამდენიმე სიტყვა ნბა-ს ჩემპიონატის ბოლო მოვლენებზე. უნდა აღინიშნოთ, რომ წლევანდელი ტურნირის ერთ-ერთი სენსაცია გახლავთ წყნარი ოკეანის დივიზიონის გუნდის — „ფენიქს სანის“ ბრწყინვალე თამაში, რომელმაც ხელთ იგდო ლიდერობა დივიზიონში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით — 31 გამარჯვება და 775 პროცენტი. „ფენიქსს“ უკეთესი მაჩვენებელი ექნებოდა, ბოლო შეხვედრა რომ არ წაეგო „ლოს-ანჯელეს კლიპერსთან“ — 108:112. მაგრამ უმჯობესია გადავხედოთ სატურნირო ცხრილებს, რომლებშიც გამოყოფილია სამ-სამი ლიდერი.

### აღმოსავლეთის კონფერენცია
### ატლანტის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ნიუ-იორკი“ | 26 | 15 | 634 |
| „ნიუ-ჯერსი“ | 25 | 20 | 556 |
| „ბოსტონი“ | 22 | 21 | 512 |

### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო“ | 29 | 15 | 659 |
| „კლივლენდი“ | 26 | 18 | 591 |
| „ატლანტა“ | 22 | 21 | 512 |

### დასავლეთის კონფერენცია
### შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან-ანტონიო“ | 27 | 14 | 659 |
| „იუტა-ჯაზი“ | 27 | 15 | 643 |
| „ჰიუსტონი“ | 25 | 18 | 581 |

### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფენიქსი“ | 31 | 9 | 775 |
| „პორტლენდი“ | 28 | 13 | 683 |
| „სიეტლი“ | 28 | 14 | 667 |

## პეტერ გრაფი — ფხიზელი და მოუსვენარი მამა

**როგორც** ცნობილია, შტეფი გრაფს რთული ურთიერთობა აქვს მამასთან — პეტერთან, რომელიც მისი მენეჯერის ფუნქციებსაც ასრულებს. შტეფი შარშან თანახმა იყო წყვილთა შეჯიბრებაში გამოსულიყო მარტინა ნავრატილოვასთან ერთად, მაგრამ ამას სასტიკად წინ აღუდგა მამამისი. პეტერ გრაფმა განაცხადა, რომ არ დაუშვებს ასეთი წყვილის შექმნას, რადგან ძალიან არ მოსწონს „ნავრატილოვას ცხოვრების წესი“. ცხადია, გრაფის მამას ბევრი რამ სმენია ნავრატილოვას „ცოლების“ შესახებ.

— შტეფი გაცილებით უფრო მდიდარი იქნებოდა — განაცხადა ცნობილმა რუმინელმა მწვრთნელმა იონ ცირიაკმა — თავისი საქმეების გაძღოლა მამისთვის კი არა, პროფესიონალი მენეჯერისთვის რომ მიენდო.

ამასობაში თვით პეტერ გრაფს მოუვიდა დიდი უსიამოვნება სწორედ „ცხოვრების წესის“ გამო. 52 წლის პეტერს სასამართლოში უჩივლა „მოდელმა“ ნიკოლ მეისნერმა. მან პეტერს 250 ათასი გირვანქა სტერლინგი მოსთხოვა და ამტკიცებდა, რომ მისგან ბავშვი ჰყავს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ეს ბავშვი პეტერ გრაფისა არ არის და ცილისმწამებელს ციხეში უკრეს თავი.

# ჟუჟა პოლგარი — პრეტენდენტი

(დასასრული)

ლკე სასტუმროში ცხოვრება იყო. მეორეჯერ მოითხოვეს გუნდში არ შეეყვანათ დიდოსტატი ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი და ა. შ. ერთი სიტყვით, პოლგარებსა და უნგრეთის ჭადრაკის ფედერაციას შორის ნამდვილი „ცივი ომი“ დაიწყო.

ასე გაგრძელდა 1988 წლამდე, როცა პოლგარები, ბოლოსდაბოლოს, დათანხმდნენ ეთამაშათ ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე. რა თქმა უნდა, უნგრეთის ჭადრაკის მესვეურებმა ამჯერად მათი ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილეს. ერთი საკმაოდ დელიკატურიც იყო: გუნდი დაატოვებინეს ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩს, რომელთანაც დებს კარგა ხანია ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ და ადრეც მოითხოვდნენ: „ან ჩვენ, ან ვერეცი!“

ეს გახლდათ მეცამეტე საერთაშორისო ოლიმპიადა სალონიკში (საბერძნეთი). ადრე, ყველა ოლიმპიადაზე საბჭოთა მოჭადრაკეები იმარჯვებდნენ, უნგრელებსაც ბევრჯერ ჰქონიათ კარგი შედეგი, მაგრამ ამჯერად მათგან გაცილებით მეტს — მხოლოდ I ადგილს მოითხოვდნენ.

დებმა (მათ გარდა გუნდში ილდიკო მადლი თამაშობდა) გაამართლეს იმედი: საბჭოთა მოჭადრაკეებთან მძაფრ ბრძოლაში პირველი ადგილი და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს (33 ქულა 42 შესაძლებლიდან), მეტოქეები ნახევარი ქულით ჩამოიტოვეს.

ჟუჟა პირველ დაფაზე თამაშობდა და ჩინებულ შედეგსაც მიაღწია — 10, 5 ქულა 14-დან. მეორე დაფაზე იუდითს პირდაპირ ფანტასტიკური შედეგი ჰქონდა — 12,5 13-დან.

ჟუჟა პირველად შეხვდა სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკე ქალებს. მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან შეხვედრა შავებით ყაიმით დასრულდა. დაამარცხა ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ელიშკა კლიმოვა-რიჰტროვა, საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი ანა ახშარუმოვა, რომელიც აშშ-ის სახელით გამოდიოდა, ჩინელი ლიუ შილანი, რომელიც ადრე პრეტენდენტთა ტურნირში თამაშობდა. შეხვედრა ცნობილ შვედ დიდოსტატ პია კრამლინგთან (ქალებთან ისიც იშვიათად თამაშობდა) ყაიმით დაამთავრა. ერთი სიტყვით, ჟუჟა ბუდაპეშტში ყოველმხრივ კმაყოფილი დაბრუნდა.

გავიდა კიდევ 2 წელი. ქალთა მომდევნო ოლიმპიადა ახლა ნოვი სადში (იუგოსლავია) გაიმართა. უნგრეთის გუნდმა, რომელშიც კვლავ დები პოლგარები და მადლი გამოდიოდნენ, ისევ აჯობა საბჭოთა კავშირის ნაკრებს და ჩემპიონობა შეინარჩუნა. ჟუჟამ პირველ დაფაზე 14-დან 11,5 ქულა (82,14%) მოაგროვა, იუდითმა მეორეზე — 13-დან 10 (76,92%), სოფის კი, რომელმაც სალონიკში სუსტად ითამაშა, ამჯერად ბრწყინვალე შედეგი აღმოაჩნდა — 11,5 ქულა 13-დან (88,46%).

ჟუჟამ მოუგო მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს, კლიმოვა-რიჰტროვას, ელენა ახმილოვსკაიას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად, ბულგარელ მარგარიტა ვოისკას და სხვებს. სხვათა შორის, აქვე გაიმართა მისი პირველი შეხვედრა მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონ სიე ჯუნთან (ჩინელი შავებით იყო) და 28-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა. ისევე, როგორც ორი წლის წინათ სალონიკში, ჟუჟა თავდაჭერილად თამაშობდა, დიდ რისკს ერიდებოდა და შეჯიბრება ამჯერადაც დაუმარცხებლად განვლო.

### 1992 წელს...

**როგორც** მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, ჟუჟა მესამე ქალია ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის შემდეგ, რომელსაც ვაჟთა შორის დიდოსტატის წოდება მიენიჭა. მალე მეოთხე დიდოსტატი გახდა იუდითი. მან დიდოსტატის წოდება უფრო მცირე ასაკისამ მოიპოვა, ვიდრე რობერტ ფიშერმა და გარი კასპაროვმა. მოდი და ნუ გაოცდები!

ბუნებრივი იყო, რომ იუდითმა თანდათან გაუსწრო უფროს დას და ქალთა „რანგ-ლისტში“ სამი წელია I ადგილი უკავია. სამაგიეროდ, ჟუჟა არავის უთმობს მეორე ადგილს და, იუდითის შემდეგ ყველაზე უკეთესი სატურნირო შედეგებიც აქვს.

1992 წლის დამდეგს უნგრეთის ვაჟთა ჩემპიონატს ოლიმპიური ნაკრების წევრები უნდა შეერჩია. 8 უძლიერეს ვაჟს ჟუჟა და იუდითი მიემატნენ, ისინი ხომ ადრეც აცხადებდნენ პრეტენზიას ვაჟთა ნაკრებში თამაშზე და ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.

როგორც ამ შეჯიბრებამ გვიჩვენა, დები რეალურად აფასებდნენ თავიანთ ძალებს. იუდითმა ყველა ვაჟს აჯობა და 9 შესაძლებლიდან 6 ქულით უნგრეთის ჩემპიონობა მოიპოვა. ეს ფანტასტიკური შედეგი იყო. კარგად ითამაშა ჟუჟამაც, რომელმაც 5 ქულით IV-V ადგილები გაიყო და მანაც ვაჟთა გუნდში თამაშის უფლება მოიპოვა.

აპრილში, ბუდაპეშტში მსოფლიოს უძლიერესმა დიდოსტატმა ქალებმა მოიყარეს თავი. გაიმართა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატები სწრაფ ჭადრაკში (მეტოქეებს პარტიისთვის 25-25 წუთი ეძლეოდათ) და ელვისებურ თამაშში (5-5 წუთი თითოეულს). ორივეში ჟუჟამ გაიმარჯვა.

ამასობაში მოახლოვდა მანილის ოლიმპიადა. უნგრეთის ჭადრაკის მესვეურებმა იფიქრეს, იფიქრეს და ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: დაე, პოლგარებმა ისევ ქალთა ნაკრებში ითამაშონ და ოლიმპიური ჩემპიონობის შესანარჩუნებლად იბრძოლონ, სულ ერთია, ვაჟთა გუნდს ისინი ბევრს ვერაფერს შესძენენო.

შესაძლოა, ეს ლოგიკურიც იყო — დები ვაჟთა ნაკრებს, ეტყობა, მაინცდამაინც წინ ვერ წასწევდნენ. მაგრამ ჟუჟამ და იუდითმა ასეთი გადაწყვეტილება ღირსების შელახვად მიიჩნიეს და ოლიმპიადაზე საერთოდ არ წასულან.

ჟუჟამ ამის შემდეგ გადაწყვიტა დაბრუნებოდა ქალთა ჭადრაკს, რომელსაც მრავალი წლის წინათ გამოეთხოვა.

პრეტენდენტების მატჩ-ტურნირმა მას I ადგილი და მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება მოუტანა.

აი, ასეთი მეტოქე უნდა შეხვდეს ჩვენს გამოჩენილ დიდოსტატს ნანა იოსელიანს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში.

ბიბი ბაძრეკელი

## არტურ ეში — შიდსის მსხვერპლი

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ 49 წლის ასაკში გარდაიცვალა პროფესიული ჩოგბურთის ერთ-ერთი აღიარებული ვარსკვლავი, ზანგი არტურ ეში, რომელსაც შიდსი გულის ოპერაციის შემდეგ სისხლის გადასხმით შეეყარა,

ეშის სახელი გრგვინავდა 60-70-იან წლებში. მას თავის დროზე მოგებული ჰქონდა აშშ-სა და ავსტრალიის ღია პირველობები, უიმბლდონის ტურნირი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყველა ჩოგბურთელისთვის სანუკვარი „დიდი მუზარადი“.

◆

### „სპორტლოტო“

**მეხუთე ტირაჟები**

„6 45“: 14. 16. 20. 33. 44. 45.
„5 36“: 1. 12. 18. 23. 32.
„6 56“: 2. 4. 10. 15. 34. 42. 44.

**მეექვსე ტირაჟები**

„6 45“: 1. 7. 32. 37. 40. 44.
„5 36“: 4. 18. 21. 30. 36.
„6 56“: 1. 9. 16. 30. 31. 47. 48.

**მეოთხე ტირაჟების შედეგები**

„6 45“:
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 15.043 მანეთი;
4 ნომერი — 752 მანეთი.
„5 36“:
5 ნომერი — 301.901 მანეთი;
4 ნომერი — 3.474 მანეთი;
3 ნომერი — 172 მანეთი.

**მეხუთე ტირაჟების შედეგები**

„6 45“:
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 29.632 მანეთი;
4 ნომერი — 977 მანეთი.
„5 36“:
5 ნომერი — 345.490 მანეთი;
4 ნომერი — 2.933 მანეთი;
3 ნომერი — 157 მანეთი.

### „სპორტპროგნოზი“

**მეხუთე ტირაჟი**

1—X, 2—2, 3—1, 4—2, 5—2, 6—1, 7—1, 8—X, 9—1, 10—X, 11—1, 12—2, 13—1.

**მეოთხე ტირაჟის შედეგები**

13 შედეგი — 147.177 მანეთი;
12 შედეგი — 5.558 მანეთი;
11 შედეგი — 1.026 მანეთი.

**მეხუთე ტირაჟის შედეგები**

13 შედეგი — 643.800 მანეთი;
12 შედეგი — 4. 526 მანეთი;
11 შედეგი — 1.118 მანეთი.

◆

### საქართველოს ტელევიზიით

I პროგრამა

**11 თებერვალი.** 23. 15 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. შემდეგ — საფეხბურთო მიმოხილვა.

**12 თებერვალი.** 21. 25 — საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის.

**13 თებერვალი.** 10. 15 — აერობიკა, „ბასტი-ბუბუ“.

**14 თებერვალი.** 10. 15 — აერობიკა, „ბასტი-ბუბუ“.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ ბაჩიჩილაძე

საქართველოს რესპუბლიკის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია სამძიმარს უცხადებს მსოფლიო ჩემპიონს ბატუტზე ხტომებში ზაქარია აბრამიშვილს მამის

**ზაურ აბრამიშვილის**

გარდაცვალების გამო.

მ. კოსტავას, 14. ჩვენი მისამართი: თბილისი, 380008, ☎ ტელ: 99-59-47, 99-31-73. ინდექსი 68435 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.